



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №94/18

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 26 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 5 სექტემბრის №--/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2017 წლის 16 ივნისს -- მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლე -- -- მიერ ყოვლად უსაფუძვლოდ, -- -- მიმართ დადგინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი და დაჯარიმდა 150 ლარით, მან სრულად გაიზიარა -- --, დაინტერესებული პირის ჩვენება და უარყო მეორე მხარის მოსაზრება. ამასთან, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა აცილების თაობაზე. ასევე, -- სააპელაციო სასამართლოდან გამოთხოვილი -- მაგისტრატი სასამართლოს სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ 2017 წლის 3 ნოემბრის აუდიო ჩანაწერი საქმეში არ არსებობს, საქმეში მოიპოვება სხდომის ნაბეჭდი ვარიანტი, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება იმ სხდომიდან, რომელიც სინამდვილეში ჩატარდა.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

2016 წლის 22 დეკემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (-- ლარი). ამასთან, 2017 წელს -- -- სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული სარჩელი.

საქმის განხილვის მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 17 მარტს.

შემდგომი სხდომა გადაინიშნა 2017 წლის 24 მარტს. 2017 წლის 23 მარტს -- -- სხდომის გადადების შესახებ წარადგინა განცხადება. სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 2017 წლის 31 მარტს.

2017 წლის 16 ივნისის დადგენილებით -- -- ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) და ადმინისტრაციულ სახდელად დაეკისრა ჯარიმა -- ლარი.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა 2017 წლის 21 ივლისს, 2017 წლის 21 ოქტომბერს, 2017 წლის 3 ნოემბერს და 2017 წლის 27 ნოემბერს.

2017 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რომელიც გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი, -- მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის მოტივით (ქონებრივი ხასიათის დავა და მისი მოცულობა არ აღემატებოდა 2000 ლარს).

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- -- 2018 წლის 21 თებერვალს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

## **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

**3.1.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

--- მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის დადგენილებით (მოსამართლე-- --) -- -- ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით. კონკრეტული დადგენილების მიღებისას, მოსამართლე მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული დადგენილების კანონიერებაზე.

**3.2.** საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა აცილების თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მხარეთა შესაძლებლობას წერილობით განაცხადონ აცილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, „მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ექვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.“ განცხადება აცილების შესახებ მოტივირებულ უნდა იქნეს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ იქნება კანონის ნორმით გათვალისწინებული

წინაპირობა, მოსამართლე შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლე განჩინების მიღებისას მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

**3.3.** რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ გააყალბა 2017 წლის 3 ნოემბერს ჩატარებული სხდომის ოქმი და სხდომის მიმდინარეობა არ ასახა აუდიო CD დისკზე. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, 2017 წლის 3 ნოემბრის სხდომის ოქმი, რომელიც დევს საქმეში ხარვეზიანია, შესაბამისად მისი მოსმენა შეუძლებელია. საქმის სრულყოფილი მოკვლევის მიზნით, გამოთხოვილ იქნა კონკრეტული სხდომის ვიდეოჩანაწერი საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან. 2018 წლის 8 აგვისტოს გადმოგზავნილი სხდომის ვიდეოჩანაწერის დეტალური გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ 2017 წლის 3 ნოემბრის სხდომა არ არის დეტალურად ასახული დისკზე და იგი ხარვეზიანია, აღნიშნული ბუნებრივია გამორიცხავს ფაქტის შეფასების შესაძლებლობას.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 10 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე N94/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმადლესი საბჭოს მდივანი